

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის  
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,  
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ  
2018 წლის 27 დეკემბრის № 01-03/20 ბრძანებით

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის**

**ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები**

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები შემუშავებულია საქართველოს კანონის „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ და „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანების საფუძველზე.

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

„უნივერსიტეტი“-ის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს და არეგულირებს სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს.

**მუხლი 2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომები**

1. „უნივერსიტეტი“-ის სამივე კორპუსში, თითოეულ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება.
2. „უნივერსიტეტი“, ასევე, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრი ბალონები.
3. აკრძალულია „უნივერსიტეტი“-ის ტერიტორიაზე ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა.

4. ევაკუაციის ნიშნის შემთხვევაში „უნივერსიტეტი“-ის თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელებთან და მეთვალყურეობენ ევაკუაციის პროცესს.
5. საჭიროების შემთხვევაში, „უნივერსიტეტი“-ის სასწავლო პროცესის ზედამხედველი უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ).

### **მუხლი 3. „უნივერსიტეტი“-ის ქონების მფლობელობა, სარგებლობა ან განკარგვაზე უფლებამოსილ პირთა ვალდებულებები**

1. „უნივერსიტეტი“-ის ქონების მფლობელობა, სარგებლობა ან განკარგვაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან:
- ა) შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო სამსახურსა და „უნივერსიტეტი“-ის ხელმძღვანელობას;
  - ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით მიიღონ ზომები სტუდენტთა, თანამშრომელთა და ქონების გადასარჩენად;
  - გ) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია, შეაჩერონ გადასატანი მოწყობილობების, აგრეგატების, აპარატების მუშაობა, გადაკეტონ ორთქლის და წყლის კომუნიკაციები. შეაჩერონ ავარიულ და მასთან მომიჯნავე სათავსებში სავენტილაციო სისტემების მუშაობა, შეასრულონ სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;
  - დ) შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო (თუ ეს წარმოების ტექნოლოგიური პროცესით დასაშვებია), გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;
  - ე) გაიყვანონ საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი და თანამშრომელი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობის პროცესში;
  - ვ) სახანძრო სამსახურის თანამშრომლების მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა (ობიექტის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით);
  - ზ) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების დაცვა.

თ) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;

ი) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო სამსახურის თანამშრომლების შეხვედრას და მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;

კ) მიაწოდონ ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე სახანძრო სამსახურის თანამშრომლებს ცნობები იმ საშიში, ფეთქებადი, ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებების შესახებ, რომლებიც ინახება ან გადამუშავდება „უნივერსიტეტი“-ში;

ლ) იქონიონ გამართულ მდგომარეობაში ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და სისტემები, მათ შორის, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, არ დაუშვან მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

მ) სახანძრო სამსახურის თანამშრომლების მისვლისთანავე მიაწოდოს ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ, შენახული და გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობასა და ხანძარსაშიშ თავისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე, აგრეთვე, გაუწიოს ორგანიზება „უნივერსიტეტი“-ის ადამიანური რესურსისა და საშუალებების ჩაბმას ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

#### **მუხლი 4. „უნივერსიტეტი“-ის ვალდებულებები**

1. „უნივერსიტეტი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სასწავლო წლის დაწყებამდე შენობება-ნაგებობების ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი.

ბ) უზრუნველყოს გათბობის სეზონის დაწყებამდე ღუმელების, გენერატორების, გათბობის სხვა ხელსაწყოებისა და სისტემების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შეკეთება, რათა გამოირიცხოს გაუმართავი ღუმელებისა და სხვა ხელსაწყოების ექსპლუატაცია.

გ) უზრუნველყოს „უნივერსიტეტი“-ის თანამშრომელთათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების შესწავლის მიზნით მეცადინეობების ორგანიზება.

## მუხლი 5. „უნივერსიტეტი“-ის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

### 1. „უნივერსიტეტი“-ის თანამშრომელთა მოვალეობები:

- ა) დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო წესები და შეასრულოს სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები;
- ბ) დაიცვას უსაფრთხოების ზომები აირის ხელსაწყოების, ადვილად აალებადი და წვადი სითხეების, ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალებისა და მოწყობილობების გამოყენებითი სამუშაოების შესრულებისას;
- გ) ხანძრის ან წვის ნიშნების აღმოჩენის (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინონ სახანძრო სამსახურს და შეძლებისდაგვარად მიიღოს ზომები ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების გადასარჩენად და ხანძრის ჩასაქრობად.

### 2. „უნივერსიტეტი“-ის თანამშრომელთა უფლებები:

- ა) ხანძრის შემთხვევაში დაიცვან თავიანთი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება;
- ბ) მიიღოს მონაწილეობა ხანძრის გამომწვევი იმ მიზეზების დადგენაში, რომელმაც ზიანი მიაყენა მათ ჯანმრთელობასა და ქონებას;
- გ) მიიღოს ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე;
- დ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

## მუხლი 6. გარდამავალი დებულებანი

1. „უნივერსიტეტი“-ის ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ქმედება სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რაც არ არის განსაზღვრული აღნიშნული წესით.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება „უნივერსიტეტი“-ის რექტორის ბრძანებით.